

№ 229 (5259)

19

1974 წ. ნოემბერი, საფურცელი. ღარი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კომუნისტური რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან



ინსბრუკელი სტუმრები თბილისში

როგორც ცნობილია, თბილისში ხანმოკლე ვიზიტით იყო ტიროლის ლანდშტაის პრეზიდენტი, ინსბრუკის (ავსტრია) მუნიციპალიტეტის, 1976 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ბ.ნი ალთის ლუგერი მუდღელიურთ. ისინი საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვადნენ საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ს. პავლოვის მოწვევით.

სანმოკლე ვიზიტის გამო სტუმრება ვერ შეძლო ენახა ბაკურიანი, რომლის შესახებაც ბევრი რამ სმენია. ბ.ნი ლუგერი ამბობდა, სიამოვნებით შეხვედებოდა კობა წაქაძეს, რომლისთვისაც ბევრჯერ გადამიცია პრისები ინსბრუკში „მფრინავ მოთბილამურეთა“ შეჯიბრების დროს. ბ.ნი ლუგერმა, რომელმაც ძალიან გულთბილად მოიხსენია კობა წაქაძე, საზეასმით აღნიშნა, რომ უაღრესად სასარგებლოა, როცა ასეთი გამომდელი სპორტსმენი წვრთნის ნორჩ ტრამპლინიდან მსტოპელს.

ტორებს უამრავი საქმე ექნებათ, მაგრამ მუშაობაში ჩაბმულია უმეტესად ის ხალხი, ვინც 1964 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდა. მათ ევისრებათ პასუხისმგებლობა ასპარეზობის მონაწილეებისა და სტუმრების დაბინავებისთვის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, პრესის მუშაობისთვის და ა. შ. თავად ბ.ნი ლუგერიც 1964 წლის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. განვლილი ოლიმპიადის სპორტული ნაგებობებიდან ბევრი ახლაც იქნება გამოყენებული, რა თქმა უნდა, განახლებული და რეკონსტრუირებული. ოლიმპიური სოფელი ხელახლა შენდება. ნაწილობრივ იგი უკვე ჩაღმა მწყობრში, მაგრამ მთლიანად 1975 წლის ოქტომბრისთვის დამთავრდება. 1700 სპორტსმენისა და ოფიციალური პირებისთვის გათვალისწინებულ სოფელში სამოთხასანი, კომფორტულად მოწყობილი ბინებია.

მოკრივეებმა თაისთვის ბრძოლა დაიწყეს

ალმა-ათა, 17 ნოემბერი. 18:15 — დღეს აქ დაწყებულ სსრ კავშირის თაისი გათამაშებაში ასეთი ერთნაირი ანგარიშით არმეღმა მოკრივეებმა დინამიკურ სტილს, ხოლო პროფკავშირთა პირველმა ნაერებმა — მეორე გუნდს. თუ პროფკავშირის გუნდებში სახელოვანი მოკრივეები არ იყვნენ, არმეღმა და დინამიკურ შეხვედრა ფინალსაც დამსწვევებდა. სტარტზე დინამიკურმა ზედხედ სამი ორთაბრძოლა მოიგეს. აღსანიშნავია დინამიკური ს. დურინის გამარჯვება სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონ ა. სემიონოვთან. არმეღებს პირველი წარმატება მოუტანა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. სოკოლოვმა, რომელმაც უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში სძლია 19 წლის გ. კლტოვს. სოკოლოვი ნოკაუტუნდა კი ჩაგარდა. მეორე ისევ დინამიკურმა იმარჯვა. ეს გ. ლვოვი გახლდათ. შემდეგ კი მხოლოდ არმეღები იმარჯვებდნენ — ა. კამნევი, სსრ კავშირის პირველი ორგზის ოქროს ლაურეატი, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. ლემეშევი, ევროპის ჩემპიონი ვ. ულიანიჩი... შეჯიბრებაში ასამდე მოკრივე მონაწილეობს. რვა გუნდი ორ ქვეჯგუფადაა დაყოფილი, რომელთა გამარჯვებულნიც 24 ნოემბერს ფინალში შეხვედებიან ერთმანეთს. (საქდესი).

რსუსრ, საქართველო, უკრაინა...

შარბანაძე, 17 ნოემბერი. წარმატებით დაიწყო ასპარეზობა საქართველოს ძიუდოსტებმა სსრ კავშირის თაისის გათამაშებაში. რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ისინი ფავორიტთა ჯგუფში აღმოჩნდნენ. შედარებით მოკრძალებით მიივლევდნენ გზას ფინალისკენ რუსეთის ფედერაციის მოკრივეები, მაგრამ ვადაშვიცი შეხვედრა, რომელსაც თაისის პირველი მფლობელი უნდა დაესახელებინა, აღმავლობით ჩაატარეს. რსუსრ-ს ნაკრებმა დაამარცხა საქართველოს გუნდი ანგარიშით 4:2 (ოთხი შერჩინება ფრედ დამთავრდა) და საბატოო ჟილოს დავატრინა. საქართველოს ძიუდოსტებს II ადგილი ერგოთ.



შალრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი კარკოვი — კორჩნოვი 3:2 (17 ყაიმი)

სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტი


მოეწყო სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მორიგი სხდომა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) 75-ე სესიის (ვენა) შედეგების შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრიანოვი.

1976 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ ანგარიშით გამოვიდნენ ინსბრუკისა და მონრეალის საორგანიზაციო კომიტეტები. ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ოლიმპიური ასპარეზობისთვის მზადება ფაქტობრივად მთავრდება. მოახლოებულ ზამთრის სეზონში სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს შესაძლებლობა მიეცემათ მოსინჯონ ბევრი სპორტული ბაზა.

1976 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ ანგარიშით გამოვიდნენ ინსბრუკისა და მონრეალის საორგანიზაციო კომიტეტები. ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ოლიმპიური ასპარეზობისთვის მზადება ფაქტობრივად მთავრდება. მოახლოებულ ზამთრის სეზონში სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს შესაძლებლობა მიეცემათ მოსინჯონ ბევრი სპორტული ბაზა.

წაიკითხეთ: აბაქი ფერეთელი და ანტონ ფურცა-ლაძე ქართულ ფალბანზე ფერე მ-2 გვ. სავსებრთ სავონის დეკლუს... მ-3 გვ.

Table with 3 columns and 30 rows of numbers and letters, likely a crossword puzzle or similar game.



მოსკოვი. პირველი მისის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშულ სკოლაში 500-ზე მეტი ბიჭი და გოგონა სწავლობს. მეცადინეობის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ტექნიკური საშუალება. სკოლის მწვრთნელები და მეთოდისტები იყენებენ კინოაპარატურას და ვიდეომაგნიტოფონებს.





